ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4363991

ნომერი: AR1658674

თარიღი : 31.01.2019

გაცემის თარიღი : 05.02.2019

გაცნობის თარიღი : 08.02.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, არჩილ ცაგარელის ქუჩა, N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა შევარდნაძე პ/ნ 01012029983
- თბილისი ე.ნინოშვილის ქ. N 66

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-35 დადგენილებით დამტკიცებული სამსახურის დებულების მე-2 მუხლის ”ა” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ”ე” ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარეკონსტრუქციო არეალი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ არსებული შენობა ახალაშენებულია, გარკვეულწილად ჩამოყალიბებული იერსახის მატარებელია და წარმოადგენს ერთ მთლიან არქიტექტურულ ელემენტს, ხოლო თქვენ მიერ დაგეგმილი სამუშაოები არ შეესაბამება განაშენიანების სამომავლო განვითარების მისაღებ მხატვრული იერსახით ჩამოყალიბების პრინციპს, ფასადზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება არსებითად უარყოფით გავლენას მოახდენს მის უკვე გარკვეულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ იერსახეზე, სამსახური ვერ დაუშვებს პრეცედენტს თქვენი კონკრეტული შემთხვევისათვის გასცეს ნებართვა და თვლის, რომ აღნიშნულის განხორციელება არ უნდა იქნას სხვა მობინადრეებისათვის სამაგალითო, რათა არ იქნას შენობის ფასადის გაუარესება. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად სარეკოსტრუქციო ფართი წარმოადგენს ავტოფარეხს, ამასთან შეთანხმებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებულ იქნა ავტოფარეხების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც ეხება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე მინიმუმ ერთი ავტოსადგომის განთვასებას, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ხდება ავტოფარეხის ფუქციის ცვლილება, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.